2020/2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში მინიოს უნივერსიტეტის (პორტუგალია) მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების ეტაპის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1.სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების ეტაპის მიზანი
სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების ეტაპის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დოკუმენტაციის შეფასება პარტნიორი მინიოს უნივერსიტეტისათვის.

2. კომისიის შეფასება
კომისია ახორციელებს დოკუმენტაციის შეფასებას მინიოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ქვემოთ მოცემული შეფასების კრიტერიუმების თანახმად

3. შეფასების კრიტერიუმები
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი:
- აპლიკანტის აკადემიური შესაბამისობა და აპლიკაციის რელევანტურობა (0-8)
- სამუშაო გეგმა (0-6)
- რეზიუმე (0-3)
- ენის ცოდნის დონე (0-3)

სტუდენტები:
-აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (0-8)
-მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების/არჩეული საგნების თანხვედრა (0-6)
-რეზიუმე (0-3)
-ენის ცოდნის დონე (0-3)

4. სტიპენდიატების გამოვლენა
სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.